პროლეტარიელებო, ყველა ერთიანდით, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 11 მარტი, 1949 წ. № 48 (8851). ფასი 20 კაპ.

მოვაწყოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებანი საქართველოს ბოლშევიკების, მთელი ქართველი ხალხის საბრძოლო პროგრამაა.

ჩვენი მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ძალების დაუზოგავად იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესასრულებლად, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელება დაიჩქარებს ჩვენი რესპუბლიკის ძლეგამოსილ წინსვლას კომუნიზმის გზით.

ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენებაში დასახული ამოცანები წარმატებით რომ განხორციელდეს, საჭიროა მათ კარგად იცნობდეს თვითეული მშრომელი, პარტიული თუ უპარტიო ბოლშევიკი. ჩვენი მიზანი ის არის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები საფუძვლიანად გავაცნოთ მასებს. ჩვენი მიზანი ის არის, რომ მაქსს დასახულ ამოცანებზე და მათი შესრულების გზებზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ, რომ ისინი შეგნებულ, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ამოცანათა განხორციელებაში.

პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა გასაცნობად და მათგან გამომდინარე ამოცანების დასასახავად საქართველოს პარტორგანიზაციებში სერიოზული მუშაობა წარმოებს. ბევრ ქალაქსა და რაიონში უკვე ჩატარდა პარტიული აქტივის კრებები, მიძღვნილი ყრილობის შედეგების განხილვისადმი. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხილვა დაიწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც. აქტივისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე გამოსული მომხსენებლები და მოკამათენი მოფიქრებულად მსჯელობენ იმაზე, უკეთესად როგორ განახორციელონ ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. რისი გაკეთება შეუძლიათ და რა ეკისრებათ მათ კონკრეტულად. ეს არის ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სერიოზული პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის მხოლოდ დასაწყისი.

ახალი ხუთწლედი ითვალისწინებს საქართველოს ინდუსტრიის სწრაფ ზრდას. ხუთწლედის ბოლოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ, როგორც ეს ამხანაგ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებაშია ნათქვამი, 48,9 პროცენტით უნდა გადააჭარბოს ომამდელი 1940 წლის პროდუქციის მოცულობის დონეს. ხუთწლედის განხორციელების შედეგად საქართველო დიდი მასშტაბით გამოუშვებს შავ ლითონებსა და მანქანებს, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მსუბუქი და კვების მრეწველობა. საქართველოს მრეწველობის მუშაკები, რომლებმაც პირნათლად გაანაღდეს ახალი ხუთწლედის განცალკევა სამი წლის დავალებანი, ყრილობის გადაწყვეტილებათა ყოველმხრივი გაცნობით, მათი შესრულებისათვის მთელი ძალების დარაზმვით, ყველა შესაძლებლობის და რეზერვის გამოყენებით ღირსეულად შეძლებენ იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებიც მათ წინაშეა დასახული. ამჟამად საქრეველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოაწყონ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა, მრეწველობის ყველა მუშაკს კონკრეტულად განუმარტონ მის წინაშე მდგომი ამოცანა, ამასთან მოაწყონ მოწინავე ადამიანთა გამოცდილების პოპულარიზაცია, მათი მეთოდების ყოველოფიერ მუშაობაში დანერგვა. გეგმების გადაჭარბებით შესრულება, თვითღირებულების შემცირება, მეტი ზეგეგმითი დაგროვება, საბრუნავი თანხის ბრუნვის დაჩქარება,—აი რით უნდა უპასუხონ საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებმაც დიდი წარმატებანი მოიპოვეს სუბტროპიკული, ტექნიკური და მარცვლეული კულტურების, მეცვნახეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში, ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგანან. ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებით დასახულია მოსავლიანობის გადიდების, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების პლანტაციების ვენახების, ნარგავების, სათესი ფართობების შემდგომი გადიდების ამოცანა. 1958 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი 70.000 ჰექტარამდე უნდა გადიდეს, 1958 წელს საქართველოს მეჩაიეებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 193.000 ტონამდე უნდა აიყვანონ. 1955 წლისათვის რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 2-2,5 მილიარდი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. 8-10 წლის განმავლობაში მარცვლეულის მოსავლიანობა 30-40 პროცენტით უნდა გადიდდეს. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ღირსეულად რომ შეასრულონ ეს დავალებანი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გულდასმით გავაცნოთ მათ ყრილობის გადაწყვეტილებანი, სწორად განესაზღვროთ გზები და საშუალებანი, რაც უზრუნველყოფს წარმატებას. ამასთან სოფლის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ აგროტექნიკური, მოწინავე საპროგა ბიოლოგიური მეცნიერების პროპაგანდა, შეუნელებლად იზრუნონ სოფლის მეურნეობის ნოვატორების — სოციალისტური შრომის გმირების გაცოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციის საქმეში დიდი მოვალეობა ეკისრებათ ბოლშევიკ აგიტატორებს. ამჟამად მთელი მათი მუშაობა მასებისათვის ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გაცნობისაკენ უნდა იყოს მიმართული. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვით აგიტატორებმა ღრმად შეისწავლონ ეს დოკუმენტები და შესძლონ მათი შეჯიბრიდ დაკავშირება ადგილობრივ კონკრეტულ ამოცანებთან.

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი საწინდარია. ყოველდღიური ზრუნვა კომუნისტების პოლიტიკური დონის, მასების სოციალისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის, მთელი შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისათვის — აი რა ევალება თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ჩარკვიანი, ლაპარაკობდა რა საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ დიდ მუშაობაზე, ამბობდა: „...ჩვენ მოგველის უფრო რთული მუშაობა, ვიდრე ადამ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ზრდასთან ერთად ფართოვდება კომუნიზმის მშენებლობის ფრონტი და, მაშასადამე, იზრდება ჩვენი ამოცანებიც“. ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა, იმ ამოცანების ღრმა შეგნება, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებით არის დასახული, დაეხმარება საქართველოს პარტიული ორგანიზაციებს იყვნენ თანამედროვე ვითარებით ნაკარნახევ მოთხოვნათა სიმაღლეზე.

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოციალისტური შრომის გმირების—სოფლის მეურნეობის მოჯინავეების მეორე ოქროს medlis დაჯილდოების შესახებ

1. დაწესდეს, რომ სოციალისტური შრომის გმირები — სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რომლებიც მათთვის სოციალისტური შრომის გმირის მინიჭების შემდეგ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ მიაღწევენ მაღალ მინიჭებს სოფლის მეურნეობაში, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, დაჯილდოდებიან მეორე ოქროს medlit „ნამგალი და უროო“.

მეორე ოქროს medlit „ნამგალი და უროო“ დაჯილდოებული სოციალისტური შრომის გმირის შრომითი საგმირო საქმეების აღსანიშნავად, აიგება დაჯილდოებულის ბრინჯაოს ბიუსტი სათანადო წარწერით, რომელიც დაიდგმება პოსტამენტზე გმირის სამშობლოში.

სოციალისტური შრომის გმირები, რომლებიც მათთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შემდეგ პირველ და მეორე წელს მიიპოვებენ ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა მიღწევისათვისაც უნდა მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებულ იქნან ყოველ წელს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1949 წლის 3 მარტი

გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1949 წლის 10 მარტის სხდომის შესახებ

10 მარტს, დღის 2 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს მეხუთე სესია.

სხდომის თავმჯდომარე—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი** სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. ს. პატოლიჩევს** მოხსენებისათვის ოთხ საარჩევნო ოლქში გამოკენებულთა ნაცვლად კავშირის საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

დეპუტატ **პ. ნ. ალფეროვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს შემდეგ დადგენილებას:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, კავშირის საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომლებიც არჩეულ იქნენ 1948 წლის 6 ივნისს ლისიჩანსკის № 391 საარჩევნო ოლქში, 1948 წლის 27 ივნისს სლავიანსკაიას № 63 და ბერდსკის № 222 საარჩევნო ოლქებში და 1948 წლის 14 ნოემბერს ნოვოგრად-ვოლინსკის № 409 საარჩევნო ოლქში“.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი** აცხადებს, რომ სესიაზე განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ვ. ი. ნედოსეკინის** წინადადებით კავშირის საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ **ტ. ა. სელივანოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს საკითხების განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ანგარიში სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე; განხილვა საკითხისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე.

ამით იხურება კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1949 წლის 10 მარტის სხდომის შესახებ

10 მარტს, დღის 4 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სესია.

სხდომის თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი** სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის სახელით დეპუტატ **ნ. ე. ავხიმოვიჩს** მოხსენებისათვის აფხაზეთის ასსრ ორამრის № 408 საარჩევნო ოლქში გამოკენებული დეპუტატის ნაცვლად ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

დეპუტატ **ა. ი. პელშეს** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს შემდეგ დადგენილებას:

„მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს იმ დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომელიც არჩეულ იქნა 1948 წლის 20 ივნისს აფხაზეთის ასსრ ორამრის № 408 საარჩევნო ოლქში“.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

საკითხი შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **გ. ა. ბუტენკოს** წინადადებით ეროვნებათა საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ **ნ. გ. კოვალის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს საკითხების განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ანგარიში სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე; განხილვა საკითხისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე.

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1949 წლის 10 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ

10 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შეიდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ა. გ. ზვერევმა.**

დეპუტატ **ა. გ. ზვერევის** მოხსენების შემდეგ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა იხურება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ღღიური

კავშირის საბჭოში

10 მარტს, მოსკოვში, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში, გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესია.

დღის 2 საათზე შედგა კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი** და მისი მოადგილეები **ტ. დ. ლისენკო** და **ნ. დ. უნდასინოვი.**

მთავრობის ლოჟებში ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკოს, გ. მ. პოპოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და მინისტრების გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები ნაგრძელი ტაშით ხვდებიან.

სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ა. პარფენოვი აცხადებს, რომ სესიის დღის წესრიგის განხილვის წინ საჭიროა მოსმენილ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

პალატის სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოსულმა დეპუტატმა **ნ. ს. პატოლიჩევმა** განაცხადა, რომ, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108-ე მუხლის შესაბამისად, 1948 წლის 6 ივნისს, 27 ივნისსა და 14 ნოემბერს ოთხ საარჩევნო ოლქში ჩატარდა კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები, ნაცვლად გამოკენებული დეპუტატებისა. არჩევნები შედგა უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ლისიჩანსკის № 391 საარჩევნო ოლქში, კრასნოდარის მხარის სლავიანსკაიას № 63 საარჩევნო ოლქში, ნოვოსიბირსკის ოლქის ბერდსკის № 222 საარჩევნო ოლქში და უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის № 409 საარჩევნო ოლქში.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,87 პროცენტმა.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან ამხანაგები: **ს. ე. სტეცენკო** (უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ლისიჩანსკის საარჩევნო ოლქი), **პ. პ. პანტიკოვი** (კრასნოდარის მხარის სლავიანსკაიას საარჩევნო ოლქი), **ა. ა. ვოზნესენსკი** (ნოვოსიბირსკის ოლქის ბერდსკის საარჩევნო ოლქი) და **ა. გ. კოვალი** (უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის საარჩევნო ოლქი).

სამანდატო კომისიამ ცნო, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ოთხსავე საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სწორად — სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და შესაბამისად.

დეპუტატ პ. ნ. ალფეროვის წინადადებით კავშირის საბჭო კამათის გაუხსნელად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

კავშირის საბჭო გადადის დღის წესრიგის დამტკიცებაზე. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

დეპუტატ **ტ. ა. სელივანოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს საკითხების განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ანგარიში სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე; განხილვა საკითხისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე.

ამით კავშირის საბჭოს პირველი სხდომა დახურულად ცხადდება.

(საკვლევი).

ეროვნებათა საბჭოში

10 მარტს დღის 4 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი,** თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ჩ. ა. ასლანოვა, პ. ა. ლევიცკი.**

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. ლოჟებში ამხანაგები **ა. ი. მიჭოიანი, ნ. მ. შვერნიკის, ა. ნ. კოსიგინის, მ. ა. სუსლოვის, პ. კ. პონომარენკოს, მ. ფ. შკირიატოვის** გამოჩენას დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სხდომის თავმჯდომარეს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. კუზნეცოვს წინადადება შეაქვს სესიის დღის წესრიგის განხილვის წინ მოსმენილ იქნას პალატის სამანდატო კომისიის მოხსენება ოჩამჩირის № 408 საარჩევნო ოლქში ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოსულმა დეპუტატმა **ნ. ე. ავხიმოვიჩმა** განაცხადა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108-ე მუხლის შესაბამისად, 1948 წლის 20 ივნისს ჩატარდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის № 408 საარჩევნო ოლქში, ნაცვლად გამოკენებული დეპუტატისა.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოლქის ამომრჩეველთა 100 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატს ხმა მისცა ყველა ამომრჩეველმა. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ვ. ბ. გოგუა.**

სამანდატო კომისიამ ცნო, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები ოჩამჩირის საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სწორად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და შესაბამისად.

დეპუტატ ა. ი. პელშეს წინადადებით ეროვნებათა საბჭო უკამათოდ ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის სესიის დღის წესრიგის დამტკიცებაზე. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოსულმა დეპუტატმა **ნ. ე. ავხიმოვიჩმა** განაცხადა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108-ე მუხლის შესაბამისად, 1948 წლის 20 ივნისს ჩატარდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის № 408 საარჩევნო ოლქში, ნაცვლად გამოკენებული დეპუტატისა.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოლქის ამომრჩეველთა 100 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატს ხმა მისცა ყველა ამომრჩეველმა. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. **ვ. ბ. გოგუა.**

სამანდატო კომისიამ ცნო, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები ოჩამჩირის საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სწორად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და შესაბამისად.

დეპუტატ ა. ი. პელშეს წინადადებით ეროვნებათა საბჭო უკამათოდ ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის სესიის დღის წესრიგის დამტკიცებაზე. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

ეროვნებათა საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ **ნ. გ. კოვალის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს საკითხების განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ანგარიში 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, ხოლო საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება ჩატარდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე. დღის წესრიგის მეორე საკითხი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება—განხილულ იქნას აგრეთვე პალატების ცალცალკე სხდომებზე. პალატების გაერთიანებული სხდომა ბიუჯეტის შესახებ მოხსენების მოსასმენად ჩატარდეს 10 მარტს, საღამოს 7 საათზე.

ამით ეროვნებათა საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარე დახურულად აცხადებს. (საკვლევი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

გუშინ, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე კრემლის დიდ სასახლეში შეიდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგში დამტკიცება სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ანგარიშისა სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი,** კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ა. პარფენოვი,** კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ტ. დ. ლისენკო** და **ნ. დ. უნდასინოვი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ჩ. ა. ასლანოვა** და **პ. ა. ლევიცკი.**

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **ი. ბ. სტალინი,** ამხანაგები **გ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიჭოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკოვი, გ. მ. პოპოვი, მ. ფ. შკირიატოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლების პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს.

სხდომის თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ვ. კუზნეცოვი მოხსენებისათვის ხალხი თავადგებით იბრძვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მისი ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენ მიგიდვართ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. ჩვენ წინ მიგყავართ გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორს დიდ სტალინს.

მომხსენებლის დასკვნითს სიტყვებს მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივ ოვაციას მართავენ საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის პატივსაცემად.

ამით კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა დახურულად ცხადდება.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

სჯახანოველთა თებერვლის მუშაობის შედეგები

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში

კიროველი დაზგათმშენებელი სტახანოველების წერილს პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის წამყვანი პროფესიების სტახანოველები. გასული წლის მსგავსად მათ კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს და ენერგიულად იბრძვიან ამ ვალდებულებათა განხორციელებისათვის.

შეყალიბე ი. მირზოევი, რომელიც საქსოვი დაზგის საყრდენების დაყალიბებაზე მუშაობს, თებერვალში ნორმით გათვალისწინებული ორი საყრდენის ნაცვლად დღეში უშვებდა რვა საყრდენს და ამრიგად ოთხი თვის ნორმა გამოიმუშავა. იგი ახლა ამ სამუშაოს ასრულებს ერთი დამხმარე მუშით, წინათ კი მასთან მეეკვსე თანრიგის ორი კვალიფიციური მეყალიბე მუშაობდა.

წარჩინებული მჭედელი ვ. კორძაძე თვიდან თვემდე ადიდებს გამომუშავების ნორმებს. თებერვალში მისი საწარმოო მაჩვენებელია 500 პროცენტი.

ზეინკლებს შორის ყველას გაუსწრო სტახანოველმა ვლ. გოგიშვილმა, რომელმაც დაგალება 313 პროცენტით გაანაღდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ისაევი, რომლის საწარმოო მაჩვენებელია 306 პროცენტი, მესამეზე ვ. ტოკაშვილი — 263 პროცენტი.

ხარატებს შორის თებერვალში პირველობა მოიპოვა მ. კოვალიოვმა, რომელმაც 478 პროცენტით გაანაღდა თვიური ნორმა. მეორე ადგილზეა სტახანოველი მ. აკოფოვი—406 პროცენტი. ხარატმა გ. გასიშვილმა თვიური დაგალება 381 პროცენტით შეასრულა, სტახანოველმა ხარატმა ე. ცაცლინამ სამნახევარ ნორმაზე მეტი გამოიმუშავა.

მრანდავმა ს. ავაქოვმა დაგალება შეასრულა 269 პროცენტით, ხოლო ა. პროკოპენკომ ორნახევარამდე ნორმა გამოიმუშავა.

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში

ქარხნის მოწინავე ადამიანები წარმატებით ანაღდებენ მათ მიერ ნაკისრ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს. მჭედლებს შორის თებერვალში თავი ისახელეს სტახანოველებმა ნ. ბორზუნენკომ და ა. რომელაშვილმა. პირველმა გეგმა 250 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ 210 პროცენტით. მათი ნაწილი საუკეთესო ხარისხისა. შეყალიბეებმა ნ. წიქარაძემ და ს. ესკინმა თებერვალში ორნახევარჯერ მეტი სსმოდა დაამზადეს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ზეინკლებს შორის ყველაზე უკეთესი საწარმოო მაჩვენებელი აქვს სტახანოველ მ. ბაღდასაროვს (415 პროცენტი). საუკეთესო ხარისხით გამოირჩევა შ. ომანიძის ნაშუშეანი. მან თებერვლის გეგმა 336 პროცენტით შეასრულა. სამმაგად გაანაღდეს დაგალება ა. აკეტისოვმა და ს. კარაკოზოვმა.

ხარატებს შორის თებერვლის შედეგების მიხედვით პირველობა მოიპოვა ბ. გორიამ, რომელმაც ოთხი ნორმა გამოიმუშავა. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე სტახანოველებს ა. ჩუბარი

კ ი ნ ო

ფილმი ქართველ მიჩურინელებზე

7 მარტიდან თბილისის კინოთეატრებში უჩვენებენ ახალ საინტერესო დოკუმენტალურ ფილმს, რომელიც გამოუშვა თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ქრონიკალური ფილმების სექტორმა.

„ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას" — ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. მიჩურინის ეს სიტყვები წამძღვარებული აქვს კინონარკვევს „ბუნების გარდამქმნელნი".

ეკრანზეა ცნობილი სახლი და სანერგე — ლაბორატორია ქ. მიჩურინსკში (ყოფილი კოზლოვი), სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინი.

შემდეგ ნაჩვენებია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის სესია. „მომავალი მიჩურინს ეკუთვნის,—ამბობს აკადემიკოსი ლისენკო, — მიჩურინული მეცნიერება, რომელიც დამყარებულია მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე, საბჭოთა აგრობიოლოგიის საფუძველია".

მიჩურინულ მოძრაობას საქართველოშიც ჰყავს თავისი მიმდევრები, რომელნიც გაცხოველებით მუშაობენ მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შესაქმნელად, არსებული ჯიშების გასაუმჯობესებლად.

მაყურებელი ხედავს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მეცნიერ-თანამშრომელს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორს ქსენია ბახტაძეს. მიჩურინული მეთოდების საფუძველზე ნიჭიერმა მეცნიერმა გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები—ქართული ჩაი № 1 და 2. თორმეტი წელია მუშაობს იგი იმ ჯიშების შესაქმნელად. მეცნიერმა მიაღწია ჩაის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას და მოსავლიანობის 30 პროცენტით გაზრდას. ახლა მოწინავე მეცნიერი მუშაობს ჩაის ახალი, ჩრდილოეთი რაიონებისათვის გამოსადეგი ჯიშების შესაქმნელად.

ციტრუსების მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი, ყინვის გამძლე ჯიშების შესაქმნელად წარმატებით მუშაობს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. გიგიბერია. ფილმი გვიჩვენებს მოწინავე. მიჩურინელისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების — საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. კვაჭანტირაძის და სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ქარჩავას მჭიდრო კავშირს.

მაყურებელი ხედავს სოხუმის ცნობილ სასელექციო სადგურს, რომელსაც ხელმძღვანელობს დოცენტი მამფორია. აგრობიოლოგიის მოწინავე თეორია ეხმარება ახალგაზრდა მეცნიერს დიდ პრაქტიკულ საქმიანობაში. საგრძნობლად იზრდება მანდარინის ზამთარამტანიანობა ყინვის გამძლე ტრიფოლიატზე დამყნობის შემდეგ. სადგურის საცდელ ნაკვეთზე გამოყვანილია სამსართულიანი ხე. პირველ სართულზე ხე იძლევა მანდარინს, მეორე სართულზე ლიმონს, ხოლო მესამეზე ფორთოხალს. ყველა სართულის ნაყოფი გამოირჩევა განსაკუთრებული სურნელებით, წვნიანობითა და შაქრიანობით. ამხ. მამფორია ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან მოვლინებულ ასპირანტთა ჯგუფს, რომელნიც მუშაობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ გასაშენებელ ციტრუსოვანთა ჯიშების გამოსაყვანად.

მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს გაცხოველებულ მუშაობას უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობაში, სადაც შემოქმედებითს მიჩურინულ აზრს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ეკრანზეა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ნატროშვილი, ქართული ცხვრის ახალი საუცხოო ჯიშის გამომყვანი. ნატროშვილის მიერ გამოყვანილ ჯიშს შენარჩუნებული აქვს თუშური ცხვრის საუკეთესო თვისებები, ამავე დროს მას აქვს რამბულიეს ჯიშის ცხვრის უხვი და რბილი მატყლი.

ქართველ მიჩურინელებს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც აქვთ მნიშვნელოვანი წარმატებანი. თბილისის მეაბრეშუმეთა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გამოუყვანიათ თუთის ხის ექვსი ახალი უხვმოსავლიანი ჯიში, აგრეთვე აბრეშუმის ჭიის ორი მეტად ძვირფასი ჯიში.

ნატახტარის სასელექციო სადგურმა, სადაც დირექტორად არის აგრონომი მეცნიერი მუშაკი მ. წულუკიძე, გამოიყვანა საგაზაფხულო ხორბალი დიკა რესპუბლიკის მთიანი რაიონებისათვის.

პრაქტიკოსმა-მიჩურინელმა ვასილ ბესტავაშვილმა სახელი გაითქვა როგორც ატმისა და ყურძნის ახალი საუცხოო ჯიშების შემქმნელმა. თავის გამოყვანილი ხილის ნაყოფს ვ. ბესტავაშვილი ყოველწლიურად გზავნის სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში სათანადო შეფასებისა და დასკვნებისათვის.

ფართოვდება მიჩურინული მოძრაობა საქართველოში, იგი სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის მძლავრი იარაღი ხდება.

ფილმი „ბუნების გარდამქმნელნი" გემოვნებითა და მხატვრული ზომიერებით არის გადაღებული. სცენარის ავტორია ა. ჯალიაშვილი. ფილმის რეჟისორები არიან ა. ჯალიაშვილი და ი. გუნია, ოპერატორები — ო. დეკანოსიძე და ფ. ვისოცკი.

ლ. ბაგრატიონი

გორელ მეხილეთა მიმართვის პასუხად

გავაშენოთ ხეხილის ახალი ბაღები, გავაუმჯობესოთ მცენარეთა მოვლა

თბილისის რაიონი

კოლმეურნეები კონკრეტული ვალდებულებებით უპასუხებენ გორის რაიონის მეხილეთა მიმართვას. [illegible]

... სუხოდ რაიონმა იკისრა წელს ხეხილის ბაღები გააშენოს 33 ჰექტარზე და მოაწყოს სანერგე 0,5 ჰექტარზე. [illegible]

ახალციხე

[illegible]

დმანისი

[illegible]

პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „საკავშირო კ. პ. (ბ) საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა"

პოლიტსკოლაში წინა მეცადინეობებზე უკვე გაშუქდა ბოლშევიკური პარტიის დიდი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი. როცა საკითხი ეხებოდა მეფის რუსეთში მუშათა და გლეხთა ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის, ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ პარტიის წინამძღოლობით შეძლო მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირით განეხორციელებინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია.

პოლიტსკოლაში სწავლის დროს მსმენელებმა გაიმდიდრეს ცოდნა მრავალი ფაქტით, მაგალითით და დებულებით, რომლებიც ცხადყოფენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს. ახლა საჭიროა განვაზოგადოთ შეთვისებული ფაქტიური მასალა, დავეხმაროთ მსმენელებს დასკვნები გააკეთონ ამ მასალიდან, უფრო ღრმად გაიგონ, თუ რაში მდგომარეობს ბოლშევიკური პარტიის ძალა და როგორ ახორციელებს პარტია თავის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას საბჭოთა საზოგადოებისადმი. ეს არის იმ საში მეცადინეობის მიზანი, რომლებიც მიეძღვნება თემას—„საკავშირო კ. პ. (ბ) საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა".

• • •

პირველი მეცადინეობა მიეძღვნება საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის ბოლშევიკური პარტიის ძალა, როგორია ბოლშევიკური პარტიის, როგორც ახალი ტიპის პარტიის, დამახასიათებელი ნიშნები.

პროპაგანდისტმა საუბარი უნდა დაიწყოს [illegible] მაგალითები, რომლებიც ბროშურაშია მოყვანილი მასებთან პარტიის განუყრელი კავშირის დასახასიათებლად, და შეეცადნონ ამ მეცადინეობისათვის მოამზადონ კიდევ სხვა ანალოგიური მაგალითები.

პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რა ფართოც უნდა იყოს პარტიის კავშირი მასებთან, იგი დღითიდღე ცდილობს მის უფრო გაფართოებას და განმტკიცებას, გულდასმით უგდებს ყურს მშრომელთა ხმას, სწავლობს მათ გამოცდილებას და მოითხოვს ყველა კომუნისტისაგან, რომ მან განუწყვეტლივ გასწიოს პოლიტიკური მუშაობა მასებში.

პროპაგანდისტი აჯამებს საუბრის ამ ნაწილს და ჩამოთვლის იმ უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებენ ბოლშევიკურ პარტიას, როგორც ახალი ტიპის პარტიას. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ პარტია მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებული რაზმია, რომ პარტია მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმია, მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, რომ პარტია ნების ერთიანობაა, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან, რომ პარტია მასებთან ავანგარდის კავშირის განსახიერებაა. ბოლშევიკური პარტია უძლეველი იმიტომ გახდა, რომ იგი ახორციელებს რა ლენინ-სტალინის მოძღვრებას, გამოსჭვივა სწორედ ეს შესანიშნავი თვისებები.

ამის შემდეგ პროპაგანდისტი გადადის ბოლშევიკური პარტიის გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხზე. იგი ცხადყოფს, რომ ბოლშევიკური პარტია ნიმუშია [illegible]

[illegible]

ბ. შორიშვილი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲝᲚᲘᲜᲒᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲐᲥᲡ ᲠᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ბერლინი, 8 მარტი. (საკდესი). 5 მარტს ზოლინგენში გაიხსნა გერმანიის კომუნისტური პარტიის კონფერენცია, რომელსაც ესწრება ათასზე მეტი დელეგატი და სტუმარი დასავლეთ გერმანიის ყველა კუთხიდან. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რეიმანმა...

დიდ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია ბონის „საპარლამენტო საბჭოსადმი" დასავლეთის სამხედრო გუბერნატორთა მემორანდუმის თაობაზე:

„სამხედრო გუბერნატორთა 1949 წლის 2 მარტის განცხადება კონსტიტუციის პროექტის შესახებ მთელი სიცხადით გვიჩვენებს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომ მომავალი და...

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ამსტერდამი, 8 მარტი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს ჰოლანდიელ ხალხს იმის გამოცხადების მანევრების შესახებ და მოუწოდებს მას ფხიზლად იყოს. ცენტრალური კომიტე...

...ტეტი ჰოლანდიის ყველა მშრომელს მოუწოდებს აგრეთვე უფრო ენერგიულად მოითხოვონ ინდონეზიაში კოლონიური ომის შეწყვეტა და ინდონეზიიდან ჰოლანდიის ჯარების გაწვევა.

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 8 მარტი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა ჰავანიდან გადმოსცა ტექსტი კუბის კომუნისტური პარტიის განცხადებისა იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს იგი საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების პოზიციას, რომლებიც ილაშქრებენ ომის იმპერიალისტი და ანტისაბჭოთა გამჩაღებლების წინააღმდეგ.

„კუბამ აშკარად უნდა დაგვანახოს, — ნათქვამია განცხადებაში, რომ მას არა სურს იმპერიალისტური ომი მიმართული თავისუფალი ქვეყნების წინააღმდეგ...

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲨᲐᲠᲙᲘᲡ

კანბერა, 9 მარტი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ჩიფლიმ პარლამენტში განაცხადა, რომ მან გენერალური პროკურორის მოვალეობის აღმასრულებელს სენატორ მაკენს მიმართა თხოვნით „შეისწავლოს" ავსტრალიის კომპარტიის გენერალური მდივნის შარკის განცხადება, რომლითაც შარკიმ მხარი დაუჭირა მორის ტორეზის განცხადებას.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა ითხოვეს გადაიდოს შარკის განცხადების განხილვა პარლამენტში, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲐᲙ ᲓᲘᲣᲙᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

პარიზი, 8 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა 6 მარტს ენუტიეში (ზემო ვიენის დეპარტამენტი) სიტყვა წარმოთქვა 8 ათასი გლეხის წინაშე.

განთავისუფლების შემდეგ, — თქვა ტორეზმა, — შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ გადავლახავდით დროებით სიძნელეებს...

გლეხების წინაშე ორი გზაა: კაპიტალისტური გზა — სიღარიბის, განადგურებისა და ომის გზა, და ჩვენი გზა — რომ მიწა მივცეთ იმათ, ვინც მას ამუშავებს, სოციალიზმისა და გლეხებისათვის მშარდამჯერის გზა მუშათა მხრივ, რომლებიც გლეხებს აწვდიან სასუქსა და მანქანებს, — სოციალიზმის, პროგრესისა და ბედნიერების გზა.

...

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

პარიზი, 9 მარტი. (საკდესი). გუშინ ქალთა...

...

ᲡᲣᲜ ᲤᲝᲡ ᲒᲐᲚᲐᲚᲒᲝᲛᲐ

ნანკინი, 8 მარტი. (საკდესი)...

ᲡᲐᲢᲐᲚᲐᲠᲙᲘᲐ ᲛᲐᲢᲧ-ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕ-ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ

ბუდაპეშტი, 8 მარტი. (საკდესი). მოსკოვ-ბუდაპეშტის მატჩ-ტურნირის დღევანდელი ტურის ყველა პარტია განსაკუთრებით მწვავე იყო.

...

21 პარტია, 3 პარტია წააგო და 1 ყაიმით დამთავრა. ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ოსტატმა თუღეოფიმმა. მან მოიგო 18 პარტია, წააგო—3 და ყაიმით დამთავრა 5.

ბუდაპეშტი, 9 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შედგა მოსკოვ-ბუდაპეშტის საჭადრაკო მატჩის მეოთხე ტური.

ბრონშტეინ-ფლორიანის შეხვედრა ბრონშტეინის გამარჯვებით დამთავრდა. კოტოვმა მოუგო გერებენს.

ყაიმით დამთავრდა საბო-სიმაგინის, ბეერბახ-შეპკოს, ლილიენტალ-ბარცას და ტიბარი-ფლორიან პარტიები.

სილი-სმისლოვის და ვაიდა-რაგოზინის პარტიები გადაიდო.

აგერბახი მესამე ტურის თავის პარტიაში ფლორიანთან ყაიმს დათანხმდა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

...

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მ. ი. როდიონოვი გაათავისუფლა რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. **ბ. ნ. ჩერნოუსოვი.**

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

11 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელთა სემინარი თემაზე: **„ბოლშევიკების პარტია პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში. მეორე რევოლუცია რუსეთში".**

ლექტორი დოცენტი **ნ. მახარაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან გადმოგვცემს, რომ გრძელდება კვლევაძიება, რაც წარმოებს გასულ კვირას მომხდარი იმ ძლიერი აფეთქების მიზეზის გამოსარკვევად, რომელმაც დაანგრია ოქროს რქის ნაპირის მდებარე ქარხანა. ზოგიერთი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქარხანას მიღებული ჰქონდა ეგვიპტისა და სირიისათვის საომარი მასალის დამზადების დიდი შეკვეთა.

უკანასკნელი ცნობებით, მსხვერპლთა რიცხვი 50 კაცს აღწევს, ხოლო მატერიალური ზარალი 3 მილიონ თურქულ ლირას შეადგენს.

თურქეთის არმიის სიინჟინრო ჯარების რაზმები მუშაობენ ქარხნის ნანგრევების ასაწმენდად.

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტის ცნობით, თურქეთის ხელისუფალთა წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ „თურქეთის მთავრობამ არ იცოდა" იარაღის დამზადების რა დიდი დაკვეთა გადასცეს ამ ქარხანას არაბულმა სახელმწიფოებმა.

როგორც გამოირკვა, ამ ქარხნის პატრონი თანამდებობიდან გადამდგარი გენერალი ნური-ფაშა აფეთქების დროს დაიღუპა.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ. რუსთაველის პროსპ., 7. ტელეფონი 3-09-50.	„ᲚᲐᲕᲐᲙᲘ ᲡᲢᲔᲚᲔᲜᲒᲘ" დასაწყ. 4, 6, 8 და 10 ს.
ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ პლეხანოვის პროსპ. 125. ტელეფონი 3-48-61.	„ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲔᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲜ" დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.
ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ პლეხანოვის პროსპ. 185. ტელეფონი 3-39-84.	„ᲚᲐᲕᲐᲙᲘ ᲡᲢᲔᲚᲔᲜᲒᲘ" დასაწყ. 3-45, 5-45, 7-45 და 9-45 ს.
„ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘ" ტელეფონი 3-29-61	დღისით „ᲐᲛᲐᲜᲒᲔᲚᲓᲘ" საღამოს ...
ᲡᲮᲕᲐᲢᲘᲐ ტელეფონი 3-09-27.	„ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲔᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲜ"
26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ სახ. ტელეფონი 3-43-09.	„ᲚᲐᲕᲐᲙᲘ ᲡᲢᲔᲚᲔᲜᲒᲘ" დასაწყ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10 ს.

„ᲒᲚᲐᲕᲚᲔᲡᲝᲡᲑᲘᲢᲘᲡ" ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲖᲐ აცხადებს მოსახლეობისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ იგი ნაღდ ანგარიშზე და გადარიცხვით ყიდის: **დახერხილ ხე-ტყის მასალას, ფანერას, ტკეჩს, მუყაოს ტიხრებისათვის, ნავერდულებს, ფანჯრების მზა ჩარჩოებს, ყუთების ნაშალს საშეშედ და ავეჯს.**

ვაჭრობა წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე საცალო საპრეისკურანტო ფასებით. მისამართი: დიდუბე, შესავალი შეშის საწყობის მხრიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 11-III **„ტრუბადური"** (14 აპ. 9 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 11-III **„ლალატი"** (3 აპ. 7 წარმ.), 12-III **„პროვინციის გუბერნატორი"** (13 აპ. 7 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — ...

მეუღლე თოლინე, შვილები გენო, გიგე, გურამ, მარო, ნინო ოჯახებით, ძმა ჩიტო, რძალი ლიზა, ძმისწულები ვახტანგ, თინა ოჯახებით იუწყებიან **ბენიამინ ალექსანდრეს ძე ბუცხრიკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-III ქუთაისში, ბაქოს, 8.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ბერიას სახელობის რაიაბჭოს აღმასკომის თანამშ...

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია, თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლობა თანაგრძნობას უცხადებს ღ. მაჭავარიანს მისი დედის **ნინო მიხეილის ასულ მაჭავარიანის** გარდაცვალების გამო.

ნატალია ლევაძე შვილებით: ზინა, ლოულმი...

...